



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

2 სექტემბერი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 139

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“-სთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბბ“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ (პრიმა) მუხლის მე-7 პუნქტის, 19⁵ მუხლის მე-6 პუნქტის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ №42 დადგენილების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრს“ გადაეცეს სარგებლობის უფლებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება ქ. ოზურგეთის გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3 მდებარე შენობა-ნაგებობის პირველი სართულის ოთხი ოთახი საერთო ფართობით 59.10კვმ. და მეორე სართულზე მდებარე ერთი ოთახი ფართობით 13კვმ. (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი №01, ნაკვეთი №367, უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882008281160, მომზადების თარიღი 23/09/2008წ.) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტით იურიდიული პირის არსებობის ვადით.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი